საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) გამოყენებითი საგრანტო ნომინაციის №84 საპროექტო წინადადების „საინჟინრო საქმის, მეცნიერებისა და განათლების ღირსეული მოამაგეების“ შესრულების საბოლოო ანგარიში.

პროექტი ითვალისწინებდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული კრებულის მესამე ტომის შედგენას, სადაც ასახული უნდა ყოფილიყო XX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე საინჟინრო საქმის, მეცნიერებისა და განათლების ღირსეულ მოამაგეთა ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები.

ჩატარებული სამუშაო გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ ტომში მოცემულია საინჟინრო საქმის, მეცნიერებისა და განათლების ღირსეულ მოღვაწეთა საქმიანობა, რომელიც გამოირჩევა მრავალმხრივი და უახლესი საინჟინრო ტექნოლოგიების დანერგვით, ურთულესი საინჟინრო პროექტების განხორციელებით, უნიკალური სამეცნიერო კვლევების წარმოებით, განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სრულიად ახალი რეფორმების გატარებით და სხვა.

№84 საპროექტო წინადადების შესრულების შედეგად მიღებული მესამე ტომის მასალა ავსებს წინა ორი ტომის გამოცემით თავმოყრილ მასალას და წარმოადგენს კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვრცელი ისტორიის შესაქმნელად.

განსხვავებით წინა ორი ტომისაგან, მესამე ტომში შევიდა ფუნდამენტურ მეცნიერებათა იმ მოღვაწეთა ბიოგრაფიული ნარკვევებიც, რომლებიც წლების მანძილზე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულები საინჟინრო საქმესთან.

მესამე ტომის გამოშვების თაობაზე ინფორმაციის გავრცელებით მეტად გაიზარდა საზოგადოების ინტერესი №84 პროექტით გათვალისწინებული შრომისადმი, რაც მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის სინამდვილეში იქნება ახალი სიტყვა და წარსულისადმი დიდი პატივისცემის გამოხატულება. პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი შალვა ნაჭყებია, პროექტის მენეჯერი პროფესორი ივანე გორგიძე, პროექტის შემსრულებელი აკაკი ჩიქოვანი, მაკა ხართიშვილი, ხათუნა უნგიაძე.

პროექტის განხორციელების დასაწყისში შედგენილი იქნა კვარტალური სამუშაო გეგმები, სადაც დაკონკრეტებული იქნა პროექტის განსახორციელებლად გათვალისწინებული ღონისძიებები, უპირველეს ყოვლისა დაზუსტდა კრებულში შესატანი იმ პირთა ვინაობები, რომელთა მოღვაწეობა გასული საუკუნის მეორე ნახევარში გამოირჩეოდა მრავალმხრივი, უახლესი საინჟინრო ტექნოლოგიების დანერგვით, ურთულესი საინჟინრო პროექტების განხორციელებით, უნიკალური სამეცნიერო კვლევების წარმართვით, განათლების სისტემაში სრულიად ახალი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეფორმების გატარებით და სხვა.

ფაკულტეტებისა და სპეციალობების მიხედვით ზემოთაღნიშნული დამსახურების მქონე პირთა შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

სამშენებლო, ჰიდროტექნიკური და არქიტექტურის დარგებიდან

1. ვახტანგ ბაციკაძე
2. დავლოსტი კერესელიძე
3. გაბრიელ ნინუა
4. ცოტნე მირცხულავა
5. არკადი პაპაშვილი
6. აკაკი ბერიშვილი
7. გიორგი ლეჟავა

ენერგეტიკის დარგიდან

1. კარლო ბაქანიძე
2. სერგო ბურჭულაძე
3. ვლადიმერ ზივზივაძე
4. ნიკოლოზ კამკამიძე
5. შოთა მაისურაძე
6. გივი მაჩაბელი
7. მიხეილ მაჭავარიანი

8. თენგიზ ჟვანია
9. გურამ ჩიტაშვილი
10. გიზო ჩიქოვანი
11. იური ჭედია
12. ვახტანგ ქინქლაძე
13. ანტონ ფირცხალავა

სამთო-გეოლოგიური დარგებიდან

1. მიხეილ ზირაქაძე
2. მერაბ თევზაძე
3. თამაზ ლორთქიფანიძე
4. კონდრატე ტაბატაძე
5. ნიკოლოზ ტყემალაძე
6. გურამ შენგელაია

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის დარგებიდან

1. გიორგი აგლაძე
2. ილია ბარათაშვილი
3. იასონ ბუჩუკური
4. გოგი ჭირაქაძე

მექანიკა-მანქანათმშენებლობისა და სატრანსპორტო დარგებიდან

1. ლავრენტი აბულაძე
2. ბალერიან ბარქაია
3. ბორის ბათიაშვილი
4. აკაკი გასიტაშვილი

5. გივი დიდიშვილი
6. ვახტანგ თოიძე
7. მარტინ კასიანი
8. მარიამ ლაფერაშვილი
9. ვახტანგ მაღალაშვილი
10. ბიძინა პეტრიაშვილი
11. ალექსანდრე ქურდაძე
12. ალექსი შარანგია
13. ნიკოლოზ შენგელია
14. შალვა რამიშვილი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების დარგებიდან

1. გია არსენიშვილი
2. ვახტანგ გაბრიჩიძე
3. იური ვერულავა
4. გოგი თურქია
5. რაულ კუპრავა
6. ზურაბ ჩხაიძე
7. ნიკო ჩხაიძე
8. გრიგოლ ცირამუა

ფუნდამენტური და სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერების დარგებიდან

1. თამაზ ბოხუა
2. გიორგი დანელია
3. სერგო თოფურია
4. ალექსანდრე ღუნჭუმელია
5. ლუდვიგ ჩაჩხიანი

6. ზურაბ ჩხენკელი
7. სოფრომ ტარუაშვილი

მე-3 ტომის ბოლო დასკვნითი ნაწილი მოიცავს 20-მდე დამსახურებული პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ბიოგრაფიებს. განსაკუთრებით გამოკვეთილია კავშირგაბმულობის დარგის თვალსაჩინო პირები: 1. ბორის ბოჭორიშვილი, 2. ვახტანგ სალიბეგაშვილი, 3. გრიგოლ ქრისტესაშვილი, 4. კონსტანტინე ქავთარაძე რომლებმაც დიდი წვლილი გასწიეს საქართველოში კავშირგაბმულობის, როგორც სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი დარგის დანერგვისა და განვითარების მიმართულებით. მათთან ერთად მესამე ტომში მოცემულია სხვადასხვა დარგის აღიარებული ინჟინრებისა და სპეციალისტების ბიოგრაფიები: 1. ავთანდილ ციცქიშვილი, 2. ნოდარ ამაშუკელი, 3. გიორგი ლორთქიფანიძე, 4. ალბერტ ჯანელიძე, 5. იასონ (ბეჟან) გონჯილაშვილი, 6. ნიკოლოზ ჩაჩხიანი, 7. ალექსანდრე ნიკოლაიშვილი, 8. ალექსანდრე ინწკირველი, 9. ალექსანდრე იმნაიშვილი.

მესამე ტომზე მუშაობის პროცესში შეგროვილი იქნა მეტად საყურადღებო ფოტოები, რაც საშუალებას იძლევა აღნიშნული ტომის დამატებით დაერთოს ფოტო-ალბომი ტექსტობრივ განმარტებებთან ერთად.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ გრანტის შესრულებებთა საერთო მოსაზრებებით III ტომს დაემატა საქართელოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამოჩენილი მესაძირკვლის, პროფესორ ივანე ყიფშიძის ვრცელი ნარკვევი „პოლიტეხნიკური ფაკულტეტი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 10 წლის თავზე, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „ტეხნიკა და ცხოვრება“, №2, 1928, გვ.36. აღნიშნულ ნარკვევში მოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ისტორიის უმთავრესი მომენტები დაარსებიდან პირველი ათწლეულის ბოლომდე.

მესამე ტომს თან ერთვის საინჟინრო საქმის, მეცნიერებისა და განათლების ღირსეული მოამაგენის ბიოგრაფიათა სამტომეულის შედგენისას გამოყენებული ძირითადი ლიტერატურისა და წყაროების ნაკრები, მათ შორის სხვადასხვა ცნობილი პუბლიცისტებისა და ჟურნალისტების ნარკვევები. დიდი მადლობა მათ.

ავტორთა ჯგუფი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს სტუ-ს რექტორის, აკადემიკოსის არჩილ ფრანგიშვილისადმი, რომელმაც დიდი მხარდაჭერა აღმოგვიჩინა

საგრანტო ნომინაციის №84 საპროექტო წინადადების „საინჟინრო საქმის, მეცნიერებისა და განათლების ღირსეული მოამაგენის“ შესრულებაში.

ნავარაუდევია სამივე ტომის გაერთიანება, დახვეწა და ერთიანი ფუნდამენტური ნაშრომის გამოშვება, რაც ქართველი ხალხის სახელოვანი მეცნიერებისა და ღირსეული ინჟინრების უკვდავების ძეგლი იქნება.

პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი შალვა ნაჭყებია.

პროექტის მენეჯერი პქოფესორი ივანე გორგიძე.